

„ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“

1. სპეციალობის დასახელება - „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ კლინიკური მედიცინის დარგია, რომელიც მოიცავს სრულ პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციულ ანესთეზიურ უზრუნველყოფას ქირურგიული ოპერაციების ან დიაგნოსტიკური მანიპულაციებისთვის (სადაც ანესთეზია ნაჩვენებია), პოსტანესთეზიური (გამოფხიზლების) პერიოდის მართვას, აგრეთვე, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი (ქირურგიული და თერაპიული პროფილის) პაციენტების მონიტორინგსა და მკურნალობას, ვიდრე ისინი საჭიროებენ სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფას ან ორგანოთა დახმარებას-ჩანაცვლებას (მათ შორის იგულისხმება ქირურგიული ჩარევების შემდგომი სრული სტაბილიზაცია), აგრეთვე, „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ მოიცავს ნებისმიერი გენეზის მწვავე და ქრონიკული ტკივილის მართვას.

3. ზოგადი ცოდნა:

ა) დაავადების მართვა, პაციენტის შეფასება და პრეოპერაციული მომზადება:

ა.ა) სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, კუნთოვანი, საშარდე, ენდოკრინული და საჭმლის მომნელებელი სისტემების ანატომია, ფიზიოლოგია, პათფიზიოლოგია;

ა.ბ) სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, კუნთოვანი, საშარდე, საჭმლის მომნელებელი და ენდოკრინული სისტემების დაავადებების ეტიოლოგიის, მიმდინარეობის, დიაგნოზის, მკურნალობისა და გართულებების პრინციპები, აგრეთვე მათი გავლენა პერიოპერაციული და პოსტოპერაციული პერიოდის მართვაზე;

ა.გ) საანესთეზიო საშუალებების გავლენა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და ნერვული ორგანოების სისტემების ფიზიოლოგიაზე;

ა.დ) პერიოპერაციულ პერიოდში გამოსაყენებელი წამლების ფარმაკოლოგიისა და მათი ურთიერთქმედების ცოდნა;

ა.ე) პაციენტის პრეოპერაციული მომზადება (ანამნეზი, წინასაოპერაციო კვლევები, კონსულტაცია, თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით წინა საოპერაციო პერიოდის დაგეგმვა/მართვა, მ.შ. პრეოპერაციული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება);

ა.ვ) ანესთეზიის ტექნიკის შერჩევა და დაგეგმვა (მ.შ. შესაბამისი მონიტორინგი, აპარატურა და მოწყობილობები).

ბ) პაციენტის ინტრაოპერაციული მოვლა და ანესთეზიის ტექნიკა:

ბ.ა) ინჰალაციური ანესთეტიკების ნაკადის მართვა (მათ შორის აირთა ნარევის დაბალი ნაკადის ტექნიკის გამოყენება), ფილტვების სასუნთქი მოცულობის და

სასუნთქ გზებში ჰაერის ნაკადის მართვა, სასუნთქ გზებში წნევის კონტროლის პრინციპები ამ წნევით უსაფრთხო მანიპულირება, სასუნთქი გზების ტემპერატურის და განოტივების უზრუნველყოფა, პულსოქსიმეტრიის, სისხლის აირების ანალიზის ინტერპრეტაციის ცოდნა, კაპნოგრაფიის ცოდნა და ფლობა. ელექტრული უსაფრთხოების საკითხების ფლობა (ააღება, ხანძარი);

ბ.ბ) მონიტორინგის მინიმალური სტანდარტების, აღჭურვილობისა და აპარტურის ცოდნა, ექსპლუატაციის სრულფასოვანი ფლობა;

ბ.გ) ანესთეზიის მართვა (მ.შ. გართულებების ამოცნობა, შეფასება და მართვა).

გ) პაციენტის პოსტოპერაციული მოვლა და მწვავე ტკივილის მართვა:

გ.ა) პაციენტის უსაფრთხო ტრანსპორტირება ანესთეზიის შემდგომ პალატაში ან რეანიმაციაში, საოპერაციოდან შემოსული პაციენტის მიღება /გადაბარება;

გ.ბ) პოსტოპერაციული პაციენტის სტაბილიზაცია, გართულებების (ქირურგიული და თერაპიული) დროული ამოცნობა, შეფასება და მართვა;

გ.გ) ტკივილის მართვა: ტკივილის შეფასება, მულტიმოდალური ანალგეზია, პაციენტის მიერ კონტროლირებადი ანალგეზია, რეგიონალური ანესთეზიის და ანალგეზიის როლი პოსტოპერაციულ ტკივილის მართვაში, ანალგეზიის არაფარმაკოლოგიური მეთოდების ცოდნა.

დ) კრიტიკული მდგომარეობების მართვა:

დ.ა) გადაუდებელი კრიტიკული მდგომარეობების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის დიაგნოსტიკისა და მართვის პრინციპები;

დ.ბ) სიცოცხლის გადარჩენის სხვადასხვა გზამკვლევები (BLS, ACLS, PALS, PHTLS, ATLS);

დ.გ) სხვადასხვა ორგანოების უკმარისობით გამოწვეული კრიტიკული მდგომარეობების მართვა (გულ-სისხლძარღვთა, რესპირატორული, ნერვული, რენალური, კუჭ-ნაწლავის, ენდოკრინული, ჰემატოლოგიური, ონკოლოგიური პაციენტები);

დ.დ) ალერგიული რეაქციების, ანაფილაქსიური და ანაფილაქტოიდური რეაქციების მართვა;

დ.ე) სხვადასხვა ეტიოლოგიის შოკის მართვა;

დ.ვ) ინტოქსიკაციების მართვა (ალკოჰოლური, მედიკამენტებით, ნარკოტიკებით), ნარკომანობის, წამალზე დამოკიდებულების, წამლის მოხსნის პროცესის შეფასება;

დ.ზ) ტრავმების და დამწვრობების შედეგად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობების ტრიაჟი, მართვა.

ე) კრიტიკული პაციენტის პერიოპერაციული მკურნალობა/მულტიდისციპლინური ინტენსიური თერაპია;

ვ) ანესთეზიაში გამოყენებული პრაქტიკული პროცედურები;

ვ.ა) სპეციფიკური კომპეტენციები:

ვ.ა.ა) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია მეანობა-გინეკოლოგიაში;

ვ.ა.ბ) სასუნთქი გზების ქირურგია და მართვა;

ვ.ა.გ) ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია თორაკალურ და კარდიო-ვასკულურ ქირურგიაში;

- ვ.ა.დ) ნეიროანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია.
- ვ.ბ) ბავშვთა ასაკის ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია;
- ვ.გ) ამბულატორიული/საველე ანესთეზიოლოგია;
- ვ.დ) ტკივილის მულტიდისციპლინური მართვა.

**4. დაავადებები და მდგომარეობები:**

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
	სასუნთქი სისტემა: სასუნთქი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური (ზემო და ქვემო სასუნთქი სისტემის) და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:	
J96	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	მართვა
R09.2	სუნთქვის გაჩერება	მართვა
J80	მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი	მართვა
J81	ფილტვის შეშუპება	მართვა
J46	ასთმური სტატუსი	მართვა
J95	სასუნთქი სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
P22.0	ახალშობილთა რესპირაციული დისტრეს სინდრომი	მართვა
P28.5	ახალშობილის სუნთქვის უკმარისობა	მართვა
P28.8	ახალშობილის სხვა დაუზუსტებელი მდგომარეობები (ე.წ. "ჩაშლილ" საერთაშორისო ICD 10-ში იგულისხმება P28.81 – ახალშობილის რესპირატორული არესტი)	მართვა
J05.0	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი)	მართვა
J05.1	მწვავე ეპიგლოტიტი	მართვა
R.04.2	ჰემოპტიზი (სისხლის ამოხველება)	მართვა
T88.4	წარუმატებელი ან გამძლეული ინტუბაცია	მართვა
T88.5	ანესთეზიის სხვა გართულებები	მართვა
P27.1	ბრონქოპულმონური დისპლაზია	მართვა
	გულ-სისხლძარღვთა სისტემა: გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები (შოკის ჩათვლით):	
I31.4	გულის ტამპონადა	მართვა
I20.0	არასტაბილური სტენოკარდია	მართვა
I21	მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი	მართვა
I44	წინაგულ-პარკუჭოვანი (ატრიო-ვენტრიკულური) და ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა	მართვა
I46	გულის გაჩერება (არესტი)	მართვა
I47	პაროქსიზმული ტაქიკარდია	მართვა
I47.2	პარკუჭოვანი ტაქიკარდია	მართვა
I48	წინაგულების ფიბრილაცია და თრთოლვა	მართვა
I49.0	პარკუჭთა ციმციმი და თრთოლვა	მართვა

I49.5	სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი	მართვა
I50	გულის უკმარისობა	მართვა
I11.0	გულის ჰიპერტენზიული დაავადება მიმდინარე გულის უკმარისობით	მართვა
P29.1	ახალშობილთა გულის დიზრითმიები	მართვა
I71	აორტის ანევრიზმა და დისექცია (აშრეგება)	მართვა
I97	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაზიანებები სამედიცინო პროცედურების შედეგად, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში.	მართვა
R57	შოკი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში:	მართვა
R57.0	კარდიოგენური შოკი	მართვა
R57.1	ჰიპოვოლემიური შოკი	მართვა
R57.8	სხვა შოკი	მართვა
R57.9S	შოკი დაუზუსტებელი	მართვა
T78.2	ანაფილაქსიური შოკი, დაუზუსტებელი	მართვა
T88.3	შოკი გამოწვეული ანესთეტიკებით	მართვა
T75.4	ელექტრული დენის ზემოქმედება	მართვა
O75.1	სამეანო შოკი	მართვა
T81.1	სამედიცინო პროცედურების შემდგომ განვითარებული შოკი	მართვა
F43.0	ფსიქიკური შოკი	მართვა
T79.4	ტრავმული შოკი	მართვა
A48.3	ტოქსიკური შოკის სინდრომი	მართვა
R65	სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი (საპს)	მართვა
R65.21	მძიმე სეფსისი სეპტიური შოკით	მართვა
T80.5	შრატისმიერი ანაფილაქსიური შოკი	მართვა
I26	ფილტვის (არტერიის) (ვენის) ემბოლია	მართვა
I27.0	ფილტვის პირველადი ჰიპერტენზია	მართვა
I27.2	სხვა მეორადი პულმონური ჰიპერტენზია	მართვა
	ენდოკრინული სისტემა: ენდოკრინული სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:	
E03.5	მიქსედემური კომა	მართვა
E05.5	თირეოიდული კრიზი ან შეტევა	მართვა
E10.0	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი კომით	მართვა
E10.1	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი კეტოაციდოზით	მართვა
E11.0	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი კომით	მართვა
E11.1	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი კეტოაციდოზით	მართვა
E12.0	არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული შაქრიანი დიაბეტი კომით	მართვა
E13.0	შაქრიანი დიაბეტის სხვა დაუზუსტებელი ფორმები, კომით	მართვა
E14.0	შაქრიანი დიაბეტი, დაუზუსტებელი, კომით	მართვა
E15	არადიაბეტური ჰიპოგლიკემიური კომა	მართვა
E27.2	ადისონური კრიზი	მართვა
T88.3	ავთვისებიანი ჰიპერთერმია გამოწვეული ანესთეზიით	მართვა
E24	(იგენკო-)კუშინგის სინდრომი	მართვა
	ცნს და ნერვ-კუნთოვანი სისტემა - ცენტრალური ნერვული და ნერვ-კუნთოვანი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:	

R40	მილიანობა, სტუპორი და კომა	მართვა
I60	სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა	მართვა
I61	ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა	მართვა
I62	სხვა არატრავმული ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევები	მართვა
I63	თავის ტვინის ინფარქტი	მართვა
G93.6	ცერებრული შეშუპება	მართვა
S06	ინტრაკრანიალური ტრავმა	მართვა
G93.1	თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
G04	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	მართვა
G41	ეპილეფსიური სტატუსი	მართვა
G92	ტოქსიური ენცეფალოპათია	მართვა
R56.8	დაუდგენელი და სხვა კონვულსიები	მართვა
G97	ნერვული სისტემის სამედიცინო პროცედურების შემდგომი დაზიანებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში.	მართვა
G00	ბაქტერიული მენინგიტი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
G61.0	გიიენ ბარეს სინდრომი	მართვა
G70	მიასთენია გრავის და ნერვ-კუნთოვანი სინაფსის სხვა დაზიანებები.	მართვა
G93.82	ტვინის სიკვდილი	მართვა
F05	დელირიუმი რომელიც არ არის განპირობებული ალკოჰოლით და სხვა ნივთიერებებით.	მართვა
S14.1	ზურგის ტვინის კისრის ნაწილის სხვა და დაუზუსტებელი ტრავმები	მართვა
S24.1	ზურგის ტვინის გულმკერდის ნაწილის სხვა და დაუზუსტებელი ტრავმა	მართვა
	რენალური-საშარდე და მეტაბოლური სისტემა - შარდის გამომყოფი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:	
N17a	თირკმლის მწვავე უკმარისობა	მართვა
N19	თირკმლის უკმარისობა დაუზუსტებელი	მართვა
N00	მწვავე ნეფრიტული სინდრომი	მართვა
N01	სწრაფად პროგრესირებადი ნეფრიტული სინდრომი	მართვა
N04	ნეფროზული სინდრომი	მართვა
N18.5	თირკმლის ქრონიკული დაავადება, სტადია 5	მართვა
N23	თირკმლის ქვალი, დაუზუსტებელი	მართვა
R34	ანურია და ოლიგურია	მართვა
E86	სითხის მოცულობის შემცირება	მართვა
E87	სითხეების, ელექტროლიტების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის სხვა დარღვევები	მართვა
	საჭმლის მომწელებელი სისტემა - საჭმლის მომწელებელი სისტემის ნებისმიერი ეტიოლოგიის, მათ შორის ინფექციური და პერიოპერაციულად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები:	
K72	ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა	მართვა
K71.1	ღვიძლის ტოქსიკური დაზიანება ჰეპატოციტების ნეკროზით	მართვა
K65.0	მწვავე პერიტონიტი	მართვა
K85	მწვავე პანკრეატიტი	მართვა
R10	მუცლისა და მენჯის ტკივილი	მართვა

P75	მეკონიური გაუვალობა	მართვა
P76	ახალშობილთა ნაწლავური გაუვალობის სხვა ფორმები	მართვა
P77	ნაყოფისა და ახალშობილის ნეკროზული ენტეროკოლიტი	მართვა
Q39	საყლაპავის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q79.0	თანდაყოლილი დიაფრაგმული თიაქარი	მართვა
Q79.3	გასტროშიზი	მართვა
Q87.0	თანდაყოლილი ანომალიების სინდრომები უპირატესად სახის დაზიანებით (პიერ რობინსის სინდრომი)	მართვა
E84	ცისტური ფიბროზი.	მართვა
K91.2	პოსტოპერაციული მალაბსორბცია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში.	მართვა
	ინფექციები და ინტოქსიკაციები: ნებისმიერი ეტიოლოგიის ინფექციები და ინტოქსიკაციები, რომლებიც იწვევენ კრიტიკულ ან/და სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობებს და საჭიროებენ რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებას:	
A40	სტრეპტოკოკული სეფსისი	მართვა
A41	სხვა სეფსისი	მართვა
R65.0	ინფექციური მიზეზით განპირობებული სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი- ორგანული დაზიანების გარეშე (სეფსისი)	მართვა
R65.1	ინფექციური მიზეზით განპირობებული სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი- ორგანული დაზიანებით (მძიმე სეფსისი)	მართვა
P36	ახალშობილთა ბაქტერიული სეფსისი	მართვა
A05.1	ბოტულიზმი	მართვა
A35	ტეტანუსის სხვა ფორმები	მართვა
T37-64. W57,W59	სამკურნალო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა / უპირატესად არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიკური ეფექტები / კბენა ან დანესტრვა არაშხამიანი მწერის და სხვა არაშხამიანი ფეხსახსრიანების მიერ / სხვა ქვეწარმავლების მიერ მიყენებული კბენა ან დარტყმა	მართვა
	ჰემატოლოგიური დარღვევები - მწვავე და ქრონიკული ჰემატოლოგიური დარღვევები, რომლებიც იწვევენ კრიტიკულ მდგომარეობებს (მათ შორის პერიოპერაციული), და საჭიროებენ პაციენტის ინტენსიურ მკურნალობას/მონიტორინგს:	
D62	მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია	მართვა
D65	დისემინირებული სისხლმარღვშიდა შედეგება (დეფბრინაციული სინდრომი)	მართვა
D59.3	ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი	მართვა
D50-D64	ალიმენტური, ჰემოლიზური, აპლაზიური და სხვა ანემიები (ღრმა ანემიები)	მართვა
D69	პურპურა და სხვა ჰემორაგიული მდგომარეობები	მართვა
D70	აგრანულოციტოზი	მართვა
T80.9	ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შედეგად განვითარებული დაუზუსტებელი გართულება	მართვა
	მეანობა- გინეკოლოგია: მეანობის პერიოდის, მშობიარობის და გინეკოლოგიური ჩარევების დროს განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები, მათ შორის პერიოპერაციული ან პროცედურული:	

A34	სამეანო ტეტანუსი	მართვა
O15	ეკლამპსია	მართვა
O14.2	HELLP სინდრომი	მართვა
O88.1	სანაყოფე სითხით ემბოლია	მართვა
O74	სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის დროს ჩატარებული ანესთეზიის გართულებები	მართვა
O75	სამშობიარო მოქმედებისა და მშობიარობის სხვა გართულებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
	ტრავმების და თერმული დაზიანების შედეგად განვითარებული კრიტიკული მდგომარეობები, მათ შორის, პერიოპერაციული ან პროცედურული:	
S27.7	გულმკერდის ღრუს მრავლობითი ტრავმა	მართვა
S36.7	მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი ტრავმა	მართვა
T07	მრავლობითი ტრავმები, დაუზუსტებელი	მართვა
T29.0	სხვადასხვა მიდამოს თერმული დამწვრობა, დაუზუსტებელი ხარისხის.	მართვა
	ტკივილის მართვა (კოდები არ არის შეტანილი საქართველოში მოქმედი ICD 10 კოდების სისტემაში, და არის სპეციალობის განყოფილები ნაწილი)	მართვა
G89	ტკივილი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში "Pain not elsewhere classified"	მართვა

## 5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) ელექტროკარდიოგრაფია;

ა.ბ) ინვაზიური არტერიული წნევის მაჩვენებელი;

ა.გ) ცენტრალური ვენური წნევის მაჩვენებელი;

ა.დ) გულის წუთმოცულობის მონიტორინგი (სვან-განცისკათეტერი);

ა.ე) შერეული ვენური სატურაცია;

ა.ვ) ინტრაორტული ბალონური კონტრპულსატორის მონაცემები (ინტერპრეტაცია/კორექცია/სინქრონიზაცია);

ა.ზ) პულსოქსიმეტრია;

ა.თ) კაპნოგრაფია;

ა.ი) ფილტვის ფუნქციური ტესტების ინტერპრეტაცია;

ა.კ) უხშირესი რადიოლოგიური კვლევები (გულმკერდის რენტგენოგრაფია, თავის რენტგენოგრაფია, მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია, თავის ტვინის კტ-კვლევა, გულმკერდის ღრუს კტ-კვლევა, მუცლის ღრუს კტ-კვლევა, თავის ტვინის მრტ-კვლევა, გულმკერდის ღრუს მრტ-კვლევა, მუცლის ღრუს მრტ-კვლევა);

ა.ლ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის შეფასების სხვა მეთოდები (ექოკარდიოგრაფია, მიოკარდიუმის ერგომეტრიული სცინტიგრაფია - კორონაროგრაფია);

ა.მ) სისხლის (დონორის და რეციპიენტის) შეთავსების ტესტი-ტრანსფუზიისთვის.

ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“, შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

ბ.ა) სწრაფი თანამიმდევრული ინდუქცია;

ბ.ბ) სედაცია ცნობიერების შენარჩუნებით;

ბ.გ) ინჰალაციური ინდუქცია;

ბ.დ) ორალური და ნაზალური საჰაერო გზების გამავლობის მიღწევა და შენარჩუნება;

ბ.ე) ტრაქეის სწრაფი თანამიმდევრული ინტუბაცია (გეგმიური);

ბ.ვ) ტრაქეის ინტუბაცია გადაუდებელი (კრიტიკული) მდგომარეობების დროს (მათ შორის გართულებული ინტუბაცია);

ბ.ზ) საანესთეზიო გაზებით მომარაგება, ანესთეზიის მისაწოდებელი სისტემის მართვა;

ბ.თ) ამორთქლებელი, საანესთეზიო ვენტილაციის აპარატები გამოყენება;

ბ.ი) საინფუზიო პამპების გამოყენება;

ბ.კ) გამათბობელი საშუალებების გამოყენება;

ბ.ლ) ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ) და ანესთეზიის სიღრმის მონიტორინგი;

ბ.მ) ცნს მონიტორინგი;

ბ.ნ) რთული ვენტილაციის ალგორითმი, სასუნთქი გზების მართვა (სახის ნილაბი, ლარინგოსკოპის ხვადასხვა ბლეიდიტ, ლარინგეალური ნილაბი, ენდოტრაქეალური მილები, ორსანათურიანი მილები, ფიბროსკოპიური ინტუბაცია);

ბ.ო) ფილტვის სეპარაციის ტექნიკა და შესრულება: ორსანათურიანი ენდოტრაქეალური ინტუბაცია, ბრონქების ბლოკირება;

ბ.პ) რთული სასუნთქი გზების მქონე პაციენტის ფილტვის სეპარაცია;

ბ.ჟ) კრიკოთირეიდოტომია და ჯეტ ვენტილაცია;

ბ.რ) ბრონქოსკოპია (ლავაჟისა და მასალის აღების ჩათვლით);

ბ.ს) ტრაქეოსტომია, მათ შორის პერკუტანული ტრაქეოსტომია;

ბ.ტ) პლევრის ღრუს დრენირება;

ბ.უ) ვენტილაცია მუცელზე წოლისას;

ბ.ფ) ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია;

ბ.ქ) ზოგადი ანესთეზიის წინა ფიზიკალური და ლაბორატორიული გამოკვლევების დაგეგმვა- შესრულება;

ბ.ღ) ცენტრალური ვენების კათეტერიზაცია (მათ შორის ჰემოდიალიზის კათეტერი);

ბ.ყ) ფილტვის არტერიის კათეტერიზაცია;

ბ.შ) პერიფერიული და ცენტრალური არტერიების პუნქცია/კანულაცია;

ბ.ჩ) ფლუბოტომია;

ბ.ც) ინტრაოსეური მიდგომის შესრულება;

ბ.ძ) გულის პეისინგის შესრულება;

ბ.წ) 12 განხრიანი ელექტროკარდიოგრამის (ეკგ) ჩაწერა;

ბ.ჭ) დეფიბრილაცია-კარდიოვერსია;



- ბ.ბ) გულ-ფილტვის რეანიმაციის ძირითადი და კვალიფიციური მეთოდები მოზრდილებში, ბავშვებში, ახალშობილებში;
- ბ.ჯ) ინტრაორტული ბალონური კონტრპულსაციის წარმოება და ამოღება;
- ბ.3) ლუმბალური პუნქცია;
- ბ.3.1) გულმკერდის, ეპიდურული და სპინალური ანესთეზია;
- ბ.3.2) კომბინირებული სპინალურ/ეპიდურული ანალგეზია-ანესთეზია;
- ბ.3.3) „ეპიდურული სისხლის საცობი“ ტექნიკის ფლობა;
- ბ.3.4) ლოკალური ანესთეტიკების ტოქსიურობის მართვა;
- ბ.3.5) მძიმე სამეანო სისხლდენების მართვა;
- ბ.3.6) სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა;
- ბ.3.7) პოსტოპერაციულ პერიოდში ტკივილის მართვა;
- ბ.3.8) მულტიმოდალური ანალგეზია;
- ბ.3.9) პაციენტის მიერ კონტროლირებადი ანესთეზია;
- ბ.3.10) პერიტონეალური დიალიზის კათეტერის პერკუტანური ჩაყენება/ამოღება;
- ბ.3.11) თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყება და ჩატარება;
- ბ.3.12) ნაზო-გასტრალური და ნაზო-გასტროდუოდენური მილის ჩადგმა;
- ბ.3.13) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ბ.3.14) შარდის ბუშტის პერკუტანური პუნქცია;
- ბ.3.15) ძირითადი ულტრაბგერითი კვლევა შემდეგი მიზნებისათვის:
- ბ.3.15.ა) ულტრაბგერით კონტროლირებული ცენტრალური ვენის აღება;
- ბ.3.15.ბ) პარკუჭის მწვავედ დაზიანებული ფუნქციის ამოცნობა ულტრაბგერით (მარჯვენა ან/და მარცხენა პარკუჭი, ჰიპო-აკინეზური უბნები), მათ შორის, ტრანსეზოფაგური;
- ბ.3.15.გ) ქვემო ღრუ ვენის დიამეტრის გაზომვა;
- ბ.3.15.დ) პერიკარდში, პლევრასა და პერიტონეუმში უხვი რაოდენობით სითხის არსებობის ამოცნობა;
- ბ.3.15.ე) შარდის შეკავების ამოცნობა (გადაწელილი შარდის ბუშტი);
- ბ.3.16) რეგიონული ანესთეზია (ნეუროაქსილარული, პერიფერიული ნერვის ბლოკადა და ცენტრალური ბლოკადა);
- ბ.3.17) სპინალური ანესთეზია;
- ბ.3.18) ეპიდურული ანესთეზია;
- ბ.3.19) კაუდალური ანესთეზია;
- ბ.3.20) პარავერტებრალური ანესთეზია;
- ბ.3.21) ნერვული წნულისა და ცალკეული ნერვის ბლოკადა;
- ბ.3.22) ზედა კიდურების პერიფერიული ბლოკადა;
- ბ.3.23) ქვედა კიდურების პერიფერიული ბლოკადა;
- ბ.3.24) სისხლის და სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია (სისხლის ან ერითროციტების გადასხმა, აუტოტრანსფუზია, ჰემოდილუცია (განზავება) წინა საოპერაციო, ფლებოტომია, თრომბოციტების გადასხმა, სისხლის სხვა

კომპონენტების გადასხმა, სისხლის გაცვლითი გადასხმა, ოპერაციამდე სისხლის შენახვა);

ბ.3.25) აზოტის ოქსიდის ინჰალაცია;

ბ.3.26) ექსტრაკორპორული მემბარული ოქსიგენაცია;

ბ.3.27) გლუკოზის დონის განსაზღვრა სისხლში ექსპრეს მეთოდით;

ბ.3.28) არტერიული სისხლის გაზების და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის განსაზღვრა;

ბ.3.29) ექსპრესკოაგულოგრამა;

ბ.3.30) ტუბერკულოზის კანის ტესტი (მანტუ);

ბ.3.31) თირკმლის ფუნქციური ტესტი;

ბ.3.32) ღვიძლის ფუნქციური ტესტი;

ბ.3.33) სისხლის შეთავსების ექსპრეს მეთოდი.

## **6. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:**

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობებში - „ანესთეზიოლოგია“ და/ან „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ ან დასრულებული აქვს დიპლომის შემდგომი მზადების შესაბამისი პროგრამა, უფლება აქვს, განახორციელოს „ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის“ კომპეტენციებით განსაზღვრული საქმიანობა, გარდა ბავშვთა კონტინგენტის ანესთეზიოლოგიური და რეანიმაციული მომსახურებისა. აღნიშნულ სფერო(ებ)ში საქმიანობა შესაძლებელია „ბავშვთა ანესთეზიოლოგიისა“ და „ბავშვთა რეანიმატოლოგიაში“ სპეციალიზაციის კურს(ებ)ის გავლის შემთხვევაში. აღნიშნული კურსების („ბავშვთა ანესთეზიოლოგია“, „ბავშვთა რეანიმატოლოგია“) დასრულების შემდგომ მას, ასევე, შეუძლია, მოიპოვოს სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე). სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვება „ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიაში“ (სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე) შეუძლიათ, ასევე, იმ სუბიექტებს, რომლებიც ფლობენ სუბსპეციალობების მოწმობებს - „ბავშვთა ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“ და „ბავშვთა კრიტიკული მედიცინა“.

გ) „კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინაში“, „კრიტიკულ მედიცინა, ინტენსიურ თერაპიასა“ და „კრიტიკულ მედიცინაში“ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში. ბავშვთა კონტინგენტის მომსახურების მიზნით მან უნდა გაიაროს სპეციალიზაციის კურსი - „ბავშვთა რეანიმატოლოგია“. საექიმო სპეციალობაში „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ სახელმწიფო სერტიფიკატის (სახელმწიფო სასერტიფიკაციო

გამოცდის ჩაბარების გარეშე) მოპოვების მიზნით მან უნდა გაიაროს შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი, რომლის შინაარსი მოიცავს საკითხებს: „თანამედროვე ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფის კონცეფციები, ფარმაკოკინეტიკა, ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოგენეტიკა“; „ავადმყოფის წინასაოპერაციო გამოკვლევა, ზოგადი ანესთეზიისა და ოპერაციის რისკის შეფასება“; „ზოგადი გაუტკივარების თავისებურებანი ქირურგიის სხვადასხვა დარგებში, ამბულატორიული გაუტკივარება“; „ზოგადი ანესთეზიის პრინციპები ურგენტული ოპერაციების დროს“; „ახალი ტექნოლოგიები ანესთეზიოლოგიურ პრაქტიკაში, ავადმყოფის უსაფრთხოების თანამედროვე პრინციპები ზოგადი ანესთეზიის დროს“; „შეცდომები და სირთულეები ანესთეზიოლოგიურ პრაქტიკაში“, „ბავშვთა ანესთეზიოლოგია“ და „ბავშვთა რენიმატოლოგია“.